



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 51

23/04/2018

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ემუხლის პირველი პუნქტის , 35-ემუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

მუხლი 1. 2018 წლის 25 აპრილს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით**:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ნანა ბახტაძე - კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ჯუნგლი გოდერძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. სსიპ - თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ- საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექციისათვის გადაცემაზე სსიპ- თვითმმართველი თემი ხონის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ჟორჟოლიანი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4. ხონის მუნიციპალიტეტის საპატო მოქალაქის მინიჭების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

5. „ხონის საპატო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის #14 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძეგლი ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე